ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4954365

ნომერი: AR1747783

თარიღი : 10.05.2020

გაცემის თარიღი : 15.05.2020

გაცნობის თარიღი : 15.05.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის ქუჩა #7 (01.72.14.013.815)-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ესიავა პ/ნ 01024008854
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 37 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირტული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას ქ. თბილისში, გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის, N7 (ს.კ 01.72.14.013.815)-ის მიმდებარედ შშმპ პანდუსების, ეზოში შესასვლელ-გამოსასვლელების, დეკორატიული ბოწკინტების, სანათებისა და მშენებარე საოფისე შენობაში შესასვლელი კიბის მოწყობასთან დაკავშირებით.
პასუხადაც გაცნობებთ, რომ სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტური სამსახური წინააღმდეგი არ არის ს.კ 01.72.14.013.815-ის მიმდებარედ, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოეწყოს შშმპ პანდუსები, ეზოში შესასვლელ-გამოსასვლელები, დეკორატიული ბოწკინტები და სანათები, თუმცა ვინაიდან 28.02.2014 წლის №1147002 ბრძანებით შეთანხმებული საოფისე შენობა მშენებარეა (არ არის ექსპლუატაციაში მიღებული) სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შენობაში შესასვლელი კიბის მოწყობა გათვალისწინებულ იქნას კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას.
აქვე გაითვალისწინეთ, ვინაიდან საპროექტო სამუშაოების შესრულება იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.